



ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების  
მონიტორინგის ანგარიში

საქართველოს სახალხო დამცველი  
2023 წელი

ანგარიში მოამზადა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, „გაეროს ერთობლივი პროგრამა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, რომელსაც გაეროს ქალთა ორგანიზაცია შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით ახორციელებს. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და, შესაძლოა, არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და შვედეთის მთავრობის შეხედულებებს.

## სარჩევი

შესავალი.....	3
მეთოდოლოგია .....	4
ძირითადი მიგნებები.....	6
ძალადობის მსხვერპლთა წვდომა დაცვისა და დახმარების სერვისებზე.....	7
სერვისით მოსარგებლეთა სტატისტიკა და თავშესაფარში არსებული გარემო.....	8
ჯანმრთელობის დაცვა.....	10
იურიდიული დახმარება, რეაბილიტაცია და დასაქმება.....	11
ადეკვატური, უსაფრთხო და დაცული საცხოვრებელი პირობები და ჰიგიენა.....	13
კვება.....	16
ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრების შეფასება.....	17
ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისი.....	18
თავშესაფარში/კრიზისულ ცენტრში დასაქმებული პირების მდგომარეობა და მათი საჭიროებები .....	19
რეკომენდაციები .....	21

## შესავალი

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ძალადობის მსხვერპლთა სპეციალიზებული მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

ძალადობის მსხვერპლებს მრავალი ურთიერთდაკავშირებული პრობლემა ექმნებათ ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, ფინანსური მდგომარეობისა და შვილების კეთილდღეობის თვალსაზრისით. თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები აღჭურვილი უნდა იყოს ზემოაღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად, ქალებსა და მათ შვილებს უნდა შესთავაზონ დახმარება, რათა მათ შეძლონ ტრავმულ გამოცდილებასთან გამკლავება, ძალადობრივი ურთიერთობების დასრულება, საკუთარ თავის მიმართ რწმენის დაბრუნება და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი პერიოდულად ატარებს დაწესებულებების მონიტორინგს და აფასებს, რამდენად სრულყოფილად ხორციელდება თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის სერვისის მიწოდება, რამდენად შეესაბამება დაწესებულებებში არსებული პირობები ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ ადამიანის უფლებათა გარანტიებს, ასევე, რა პრობლემებისა თუ გამოწვევების წინაშე დგანან როგორც თავშესაფრები/კრიზისული ცენტრები, ისე სერვისით მოსარგებლე პირები.

2023 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, მონიტორინგი განახორციელა ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, საქართველოში მოქმედ ყველა სახელმწიფო თავშესაფარსა და კრიზისულ ცენტრში. უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის სათანადოდ წარმართვას და საჭირო ინფორმაციის მოპოვებას ხელი შეუწყო თითოეულ თავშესაფარსა და კრიზისულ ცენტრში დასაქმებულთა თანამშრომლობის მზაობამ.

საქართველოს სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ჩატარებული მონიტორინგის ანგარიშის მიგნებები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს არსებული სერვისების უფრო მეტად დახვეწას.

## მეთოდოლოგია

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტი ატარებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების მონიტორინგს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად მოინახულეს. კერძოდ, მონიტორინგის წევრებმა მოინახულეს თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, გორისა და სიღნაღის თავშესაფრები, ასევე, თბილისის, გორის, ქუთაისის, ოზურგეთის, მარნეულის და თელავის კრიზისული ცენტრები. რაც შეეხება ზუგდიდის კრიზისულ ცენტრს, ადგილზე ვიზიტის შედეგად გაირკვა, რომ ზუგდიდის კრიზისული ცენტრი არ ფუნქციონირებდა, შესაბამისად, აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტი ვერ განხორციელდა.<sup>1</sup>

### მონიტორინგისას შეფასდა შემდეგი საკითხები:

- ადეკვატური, უსაფრთხო და დაცული საცხოვრებელი გარემო;
- თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის მომსახურება - ზოგადი სერვისები (კვებით, ჰიგიენის, მედიკამენტებისა და პირველადი მოხმარების სხვა საშუალებებით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ტანსაცმლით უზრუნველყოფა);
- მსხვერპლის დახმარებასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სპეციალური სერვისები (იურიდიული დახმარება (საჭიროების შემთხვევაში, კანონიერი ინტერესების დაცვა); ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარება/რეაბილიტაცია; სამედიცინო მომსახურების ორგანიზება/მიღება; ოჯახსა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა);
- თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის თანამშრომელთა მიერ შემთხვევის მართვა და სხვა პროცედურები;
- თავშესაფარში/კრიზისულ ცენტრში დასაქმებული პირების მდგომარეობა და მათი საჭიროებები;
- კრიზისულ სიტუაციებში რეაგირება.

სახალხო დამცველის თანამშრომლებმა თავშესაფარში/კრიზისულ ცენტრში მონიტორინგი განახორციელეს და ინფორმაცია შეაგროვეს პირადი დაკვირვების მეთოდით, ასევე, წინასწარ

---

<sup>1</sup> ვიზიტები განხორციელდა: 2023 წლის 30 მაისს თბილისის თავშესაფარში; 2023 წლის 15 ივნისს სიღნაღის თავშესაფარში; 20 ივნისს გორის თავშესაფარში; 2023 წლის 27 ივნისს ქუთაისის თავშესაფარში, 2023 წლის 28 ივნისს ქუთაისის კრიზისულ ცენტრში; 28 ივნისს ოზურგეთის კრიზისულ ცენტრში; 29 ივნისს ბათუმის თავშესაფარში; 12 ივლისს მარნეულის კრიზისულ ცენტრში; 26 ივლისს თბილისის კრიზისულ ცენტრში; 19 სექტემბერს თელავის კრიზისულ ცენტრში; 22 სექტემბერს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრში. გამომდინარე იქიდან, რომ გორის თავშესაფრის მონიტორინგისას არაერთი პრობლემა გამოვლინდა, 2024 წლის 24 იანვარს, გორის თავშესაფარში განხორციელდა დამატებითი ვიზიტი.

შემუშავებული, ნახევრად დახურული ტიპის კითხვარის გამოყენებით ინდივიდუალურად გამოჰკითხეს დაწესებულების თანამშრომლები და სერვისით მოსარგებლე პირები. ადგილზე გაეცნენ სერვისით მოსარგებლე პირების პირად დოკუმენტაციას და მართვის გეგმებს. ასევე, საჭირო ინფორმაცია გამოითხოვეს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოდან.

მონიტორინგისას გამოიკითხა სერვისით მოსარგებლე ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის 15 მსხვერპლი/დაზარალებული,<sup>2</sup> ასევე, დამატებით ჩატარდა არასიღრმისეული გასაუბრება 5 ბენეფიციართან იმასთან დაკავშირებით, არიან თუ არა კმაყოფილები თავშესაფრის სერვისით. ასევე გამოიკითხა 4 ტრეფიკინგის მსხვერპლი. კითხვარები იმგვარად იყო ფორმულირებული, რომ შესაძლებელი გაეხადა იმის შეფასება, რამდენად ფლობდნენ ბენეფიციარები ინფორმაციას ქვეყანაში არსებული დაცვისა და დახმარების სერვისების შესახებ, როგორი იყო მათი გამოცდილება სერვისებში ჩართვასთან დაკავშირებით, კმაყოფილები იყვნენ თუ არა თავშესაფარში არსებული გარემოთი და გაძლიერდა თუ არა როგორც მათი, ისე მათი შვილების შესაძლებლობები.

მონიტორინგის კითხვარი თავშესაფრებში/კრიზისულ ცენტრებში დასაქმებული პირებისთვის მაქსიმალურად იძლეოდა იმის გაანალიზების შესაძლებლობას, თუ როგორია დანერგილი პრაქტიკა სერვისებით მოსარგებლე პირების საჭიროებების გამოსავლენად და დასაკმაყოფილებლად. ამასთანავე, მნიშვნელოვანი იყო თავად თანამშრომელთა ხედვა და გამოცდილება თავშესაფრებში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის აპარატმა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან გამოითხოვა ინფორმაცია თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების მომსახურებებით მოსარგებლეთა სტატისტიკის შესახებ. აპარატმა ასევე გამოითხოვა ინფორმაცია თავშესაფრების პერსონალისა და კრიზისული ცენტრის თანამშრომელთათვის ჩატარებული თემატური ტრენინგების/სემინარების და სხვა კვლევების რელევანტური საკითხების შესახებ.

საბოლოოდ, გამოთხოვილი ინფორმაციისა და დოკუმენტირებული ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე, მომზადდა მონიტორინგის ანგარიში, ძირითადი მიგნებებითა და თანმდევი რეკომენდაციებით. ამავე ეტაპზე სპეციალური ანგარიში წერილობით გახიარდა და მოეწყო დისკუსია ძირითად საკითხებზე სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლებთან. შედეგად, უწყების მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციებისა და შენიშვნების ნაწილი ანგარიშში აისახა.

---

<sup>2</sup> გამოიკითხნენ მხოლოდ ის ბენეფიციარები, რომლებიც ნებაყოფლობით ჩაერთნენ მონიტორინგის პროცესში და რომლებიც, სახალხო დამცველის რწმუნებულების ვიზიტის დროს, თავშესაფარში იმყოფებოდნენ. გამოიკითხული 15 ბენეფიციარიდან, 8 სრულწლოვანი იყო, 7 - არასრულწლოვანი; 8 ბენეფიციარი გამოიკითხა გორის თავშესაფარში, 2 ქუთაისში, 1 ბათუმში, 2 სიღნაღში, 2 თბილისში.

## ძირითადი მიგნებები

მონიტორინგი ცხადყოფს, რომ თავშესაფრების უმრავლესობაში სერვისით მოსარგებლე პირები თავს მშვიდად და უსაფრთხოდ გრძნობენ, კმაყოფილები არიან სერვისით და თავშესაფრის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან კარგი დამოკიდებულება აქვთ.

დადებითად უნდა აღინიშნოს თბილისის კრიზისული ცენტრი, სადაც იხვეწება და ვითარდება სერვისი, მზარდია მიმართვიანობა, როგორც ცხელ ხაზზე, ისე უშუალოდ თბილისის კრიზისულ ცენტრში. მნიშვნელოვანია, რომ გაზრდილი მიმართვიანობის ფონზე თბილისის კრიზისულ ცენტრში იზრდება დასაქმებულთა შტატიც.<sup>3</sup>

პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, თავშესაფრების და კრიზისული ცენტრების სერვისი არაერთი გამოწვევით ხასიათდება.

- მონიტორინგისას, განსაკუთრებით პრობლემური იყო გორის თავშესაფარში არსებული მდგომარეობა. მონიტორინგმა აჩვენა, რომ გორის თავშესაფარში სათანადოდ ვერ უმკლავდებიან კრიზისულ სიტუაციებს. შედეგად, დაწესებულებაში ბენეფიციარებისთვის ძალადობრივი, სტრესული და არაკეთილსაიმედო გარემო იყო;
- ისევე როგორც წინა წლების განმავლობაში, მიმდინარე წელსაც, განსაკუთრებით პრობლემურია სოციალური რეაბილიტაცია. ამ მიმართულებით აქტივობები იმდენად მწირია, რომ თავშესაფრით მოსარგებლე პირებისთვის ვერ უზრუნველყოფს გრძელვადიან და თანმიმდევრულ რეაბილიტაციას. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას რეგიონებში, სადაც შესაძლებლობები ისედაც მცირეა და კიდევ უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო ბენეფიციართა სოციალური რეაბილიტაციის სათანადოდ უზრუნველსაყოფად;
- თავშესაფრებში კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ბავშვთა გასართობი სივრცეების განახლება და სათამაშოების სიმცირე. განსაკუთრებით პრობლემურია, რომ ბათუმის თავშესაფარს არც ბიბლიოთეკა აქვს და არც ბავშვთა გასართობი სივრცე;
- მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტი ყველა თავშესაფრის ბენეფიციარებისთვის მისაწვდომია, თავშესაფრებში არ არის კომპიუტერი, რომლითაც, საჭიროების შემთხვევაში, თავშესაფრის ბენეფიციარები ისარგებლებდნენ;
- თავშესაფრებში საცხოვრებელი გარემო მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა. რიგი თავშესაფრები კვლავ საჭიროებენ სარემონტო სამუშაოებს და ინვენტარის გამოცვლას;
- თავშესაფრებისთვის არ არსებობს საბაზო ჰიგიენური და პირადი საჭიროების ნივთების ერთიანი ჩამონათვალი;
- კვლავ პრობლემურია ბათუმის და ქუთაისის თავშესაფრების ადგილმდებარეობა. განსაკუთრებით საგანგაშოა ბათუმის თავშესაფარი, სადაც მუდმივად არის ხალხმრავლობა, კონფლიქტები, რაც ბენეფიციარებში იწვევს დაუცველობისა და შიშის განცდას. სახალხო დამცველმა არაერთხელ გასცა რეკომენდაცია დაწესებულების ადგილმდებარეობისა და ეზოს მოწესრიგების/გამოყოფის საკითხებზე, თუმცა ეს საკითხი დღემდე არ მოგვარებულა.

<sup>3</sup> სააგენტოს 2023 წლის 29 სექტემბრის SCA 4 23 01030837 წერილის თანახმად, თბილისის კრიზისულ ცენტრში დასაქმებულია 3 ფსიქოლოგი, 2 სოციალური მუშაკი, 2 იურისტი და მენეჯერი.

- მონიტორინგისას გამოიკვეთა, რომ რეგიონში მდებარე კრიზისულ ცენტრებში მიმართვიანობა დაბალია და კრიზისული ცენტრები კვლავაც საჭიროებენ როგორც ადამიანური, ისე მატერიალური რესურსებით აღჭურვას.
- თანამშრომელთა პროფესიული შესაძლებლობები უშუალოდ არის დაკავშირებული ეფექტიანი სერვისის მიწოდებასთან. სამწუხაროა, რომ თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში დასაქმებული ადამიანები ყურადღებას ამახვილებენ ტრენინგების ნაკლებობაზე. ამ მხრივ, გასაძლიერებელია მუშაობა მათ გადასამზადებლად და პროფესიული შესაძლებლობების გასაზრდელად.

### ძალადობის მსხვერპლთა წვდომა დაცვისა და დახმარების სერვისებზე

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის, სერვისებზე წვდომის გასაუმჯობესებლად, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. მსხვერპლებისთვის წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ბარიერი იყო მსხვერპლის სტატუსის მოთხოვნა, როგორც ძალადობისაგან დაცვისა და დახმარების სერვისის მიღების წინაპირობა, რაც საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად აღმოიფხვრა და დღეს არსებული რეგულაციით, განსაზღვრული ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, მსხვერპლის რეალურ საჭიროებებზე დაყრდნობით, ხდება თავშესაფრის თუ კრიზისული ცენტრის სერვისის მიწოდება.<sup>4</sup> მიღებული ცვლილებების საფუძველზე, სავარაუდო მსხვერპლთა გამოსავლენად, შემუშავდა ახალი კითხვარები. მნიშვნელოვანია, რომ თბილისის მასშტაბით იხსნება კიდევ ერთი თავშესაფარი, რომელიც განკუთვნილი იქნება 10 ბენეფიციარისთვის.<sup>5</sup>

სახალხო დამცველის აპარატის მიერ თავშესაფარში მყოფ ძალადობის მსხვერპლებთან და დაზარალებულებთან გასაუბრებისას მიღებული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს,<sup>6</sup> რომ მსხვერპლების დიდი ნაწილი, თავშესაფარში მოხვედრამდე ნაკლებად ფლობდა ინფორმაციას დაცვისა და დახმარების სერვისების შესახებ. ამ მხრივ, პრობლემა, განსაკუთრებით, გამოიკვეთა ეთნიკურად აზერბაიჯანელი არასრულწლოვანი მსხვერპლების შემთხვევაში.<sup>7</sup> გამოკითხული ბენეფიციარების უმეტესობისთვის, ასევე უცნობი იყო ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის საკითხებზე საკონსულტაციო ცხელი ხაზის შესახებ (116 006). აღნიშნული მიუთითებს, როგორც ცნობიერების ასამაღლებლად მუშაობის გაგრძელების საჭიროებაზე, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ

<sup>4</sup>საქართველოს კანონი, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მუხლი 18, პუნქტი 3.

<sup>5</sup> აღსანიშნავია, რომ თავშესაფარში გათვალისწინებულია მაღალი სტანდარტი კეთილმოწყობის თვალსაზრისით და ბენეფიციართა ოთახები აღიჭურვება ინდივიდუალური სველი წერტილებით.

<sup>6</sup> სულ გავესაუბრეთ 15 ბენეფიციარს (ასევე, დამატებით 5 ბენეფიციარს) საიდანაც 7 ბენეფიციარი იყო არასრულწლოვანი, თუმცა თავშესაფარში დამოუკიდებლად იყვნენ განთავსებულნი.

1 სრულწლოვან ბენეფიციარს გავესაუბრეთ ბათუმში, 2 სრულწლოვან ბენეფიციარს ქუთაისში, 2 არასრულწლოვან ბენეფიციარს თბილისში, 1 სრულწლოვან და 1 არასრულწლოვან ბენეფიციარს სიღნაღში, 4 სრულწლოვან და 4 არასრულწლოვან ბენეფიციარს გორში.

ამ 15 ბენეფიციარის გარდა, 1 სრულწლოვან ტრეფიკინგის მსხვერპლს გავესაუბრეთ გორის თავშესაფარში და 3 სრულწლოვან ტრეფიკინგის მსხვერპლს ქუთაისში.

<sup>7</sup> გამოკითხული, აზერბაიჯანელი ეროვნების, ოთხი ბენეფიციარიდან სამმა მიუთითა, რომ დაცვისა და დახმარების სერვისების შესახებ ინფორმაცია არ ჰქონია.



რეგიონებზე აქცენტით, ასევე, თავშესაფრის სერვისის მიმღები პირებისთვის მათთვის გასაგებ ენაზე საჭირო ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობაზე.


მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ თავშესაფრით მოსარგებლე პირებში, დაბალია ცხელი ხაზის შესახებ ცნობადობა, დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ მზარდია ცხელ ხაზზე (116006) შესული შეტყობინებების და გაცემული კონსულტაციების რაოდენობა. 2023 წელს სსიპ-სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ძალადობის საკითხებზე საკონსულტაციო ცხელ ხაზზე (116006) შევიდა 4100 შეტყობინება.<sup>8</sup>

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პროცესში გამოკითხულ ბენეფიციართა უმეტესობა დადებითად აფასებს პოლიციასთან ურთიერთობას და მათ რეაგირებას, თუმცა ისაუბრეს უარყოფით გამოცდილებაზეც.<sup>9</sup>

მონიტორინგისას მიღებული ინფორმაციის ანალიზი ასევე ცხადყოფს, რომ საზოგადოების სტერეოტიპული დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის პრობლემისადმი კვლავ გამოწვევაა, მსხვერპლთა უმეტესობა თავშესაფარში სწორედ მხარდამჭერი წრის არარსებობის გამო მოხვდა. ერთ-ერთი ბენეფიციარის თქმით, როდესაც ოჯახში ძალადობის შესახებ განაცხადა, „ყველამ გარიყა“.

### სერვისით მოსარგებლეთა სტატისტიკა და თავშესაფარში არსებული გარემო

2023 წელს ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის მომსახურებით სულ ისარგებლა 247-მა პირმა.<sup>10</sup> ქვეყანაში არსებული თავშესაფრიდან ყველაზე მეტი სერვისი გასცა თბილისის ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარმა (63), ხოლო ყველაზე ნაკლები ბათუმის თავშესაფარმა (24). სერვისით მოსარგებლე პირების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:



<sup>8</sup> სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი SCA 7 24 00089791, 25.01.2024.

<sup>9</sup> ერთ-ერთი ბენეფიციარის თქმით, პოლიცია შემაკავებელ ორდერს არ გამოსცემდა და თავშესაფარში გადაყვანაზე უარს ეუბნებოდა, რეაგირება განხორციელდა მას შემდეგ, რაც გამომძიებლის და პოლიციის განყოფილების შეცვლა ითხოვა. სხვა ბენეფიციარის თქმით, პოლიცია სათანადოდ არ რეაგირებდა და თავშესაფარში პროკურორის დახმარებით მოხვდა.

<sup>10</sup> სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი SCA 7 24 00089791, 25.01.2024.

თავშესაფარსა და კრიზისულ ცენტრში ბენეფიციართათვის უნდა შეიქმნას ისეთი გარემო, რომ ისინი დაცულები იყვნენ დისკრიმინაციის, ძალადობისა და უგულბელყოფისაგან, თავშესაფარში სწორედ მშვიდი და დაცული გარემო განსაზღვრავს ბენეფიციართა სათანადო რეაბილიტაციის შესაძლებლობას.

სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფს, ამ მხრივ, გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში არსებითი გამოწვევები დახვდა. მონიტორინგისას მიღებული ინფორმაციით, დაწესებულებაში მყოფი სრულწლოვანი ბენეფიციარი თავშესაფარში განთავსებულ 3 არასრულწლოვან ბენეფიციარზე ფსიქოლოგიურად ძალადობდა, მიმართავდა იძულებას, ერთ-ერთი ბენეფიციარის მიმართ ავლენდა ტრანსფობიურ დამოკიდებულებას, რის შესახებაც თავშესაფრის ადმინისტრაცია ინფორმირებული იყო, თუმცა საჭირო ღონისძიებებისთვის არ მიუმართავს.

მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვნები სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფს დახმარებას სთხოვდნენ და აღნიშნავდნენ, რომ მათთვის თავშესაფარში ყოფნა, მათ მიმართ ჩადენილი ძალადობის გამო, გაუსაძლისი იყო. ფაქტის გახმაურების მიუხედავად,<sup>11</sup> სააგენტოს კვლავ არ ჰქონია დროული რეაგირება და სავარაუდო მოძალადე ბავშვებისგან მხოლოდ მას შემდეგ განცალკევდა, რაც ფაქტზე გამოძიება დაიწყო, პირი ბრალდებულად ცნეს და დააკავეს.<sup>12</sup>

გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში არსებულ კონფლიქტურ გარემოზე მეტყველებს სახალხო დამცველის მიერ ინდივიდუალურად შესწავლილი საქმეებიც. წლის განმავლობაში იკვეთება კონფლიქტი როგორც ბენეფიციარებს, ისე ბენეფიციარებს და ადმინისტრაციას შორის.<sup>13</sup>

გამოვლენილი დარღვევა მიუთითებს, რომ თავშესაფარში კრიზისული სიტუაციების მართვა და ბენეფიციართა მშვიდი თანაცხოვრების უზრუნველსაყოფად წესდების ნორმების განუხრელი დაცვა გორის თავშესაფრისთვის პრობლემაა. სამომავლოდ, მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და იმისათვის, რომ ბენეფიციარები კვლავ ძალადობის მსხვერპლები არ აღმოჩნდნენ იქ, სადაც უნდა მოხდეს მათი დაცვა და რეაბილიტაცია, მნიშვნელოვანია განსაკუთრებული კონტროლი და ყურადღება.

სერვისით მოსარგებლე პირების მიერ შინაგანაწესის უგულბელყოფა, თავშესაფარში ქმნის ქაოსს, შეუძლებელს ხდის ბენეფიციართა მშვიდობიან თანაცხოვრებას, მათ რეაბილიტაციას და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებას, რაც საბოლოოდ აზრს უკარგავს სერვისის არსებობას.

თბილისის, სიღნაღის, ბათუმის და ქუთაისის თავშესაფრებში გამოკითხულ ბენეფიციართა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ თავშესაფარში განთავსებისას უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემო დახვდათ. ასევე აცხადებენ, რომ თავშესაფარში განთავსებისას,

---

<sup>11</sup> სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფმა დაუყოვნებლივ მიაწოდა ინფორმაცია სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტს.

<sup>12</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი: MIA 1 23 01900849, 03/07/2023.

<sup>13</sup> საქმე 11447/23, 11553/23; 11780/23.

როგორც ზეპირად, ისე წერილობით განემარტათ უფლება-მოვალეობების შესახებ და მოქმედი წესები მათთვის მისაღებია. გამოკითხულმა ბენეფიციარებმა აღნიშნეს, რომ კარგი დამოკიდებულება აქვთ თავშესაფრის პერსონალთან.

### ჯანმრთელობის დაცვა

თავშესაფარში მიღებისას ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობა მოწმდება ზეპირი გასაუბრების საფუძველზე და ივსება სპეციალური ფორმა, ჯანმრთელობის ჩივილებისას კი ხდება შესაბამის სპეციალისტთან გადამისამართება.<sup>14</sup> გამოკითხული ბენეფიციარების ნაწილმა ისარგებლა შეთავაზებული სამედიცინო სერვისებით, კერძოდ, ექიმთან კონსულტაციით, ასევე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კვლევების დაფინანსებით და, ამ მხრივ, სერვისის მიმღებ პირებს პრეტენზიები არ გამოუთქვამთ. სააგენტოს ინფორმაციით, სამედიცინო მომსახურება სერვისის მიმღებ 138 პირს გაეწია.<sup>15</sup>

მნიშვნელოვანია, რომ თავშესაფრების ადმინისტრაციის წარმომადგენლების ინფორმაციით, თავშესაფარში განთავსებიდან დადგენილ ვადაში,<sup>16</sup> სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლებს უტარდებათ სამედიცინო შემოწმება სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე.<sup>17</sup> გორის თავშესაფრის ხელმძღვანელის თქმით, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე, სურვილის შემთხვევაში, ყველა ბენეფიციარს უტარდება გამოკვლევა. გამოკვლევას უზრუნველყოფს ა/ო „ნაბიჯი მომავლისკენ“.<sup>18</sup>

გასული წლის მსგავსად, პირველადი მედიკამენტების მარაგი დაწესებულებებში კვლავ მწირია.<sup>19</sup> მონიტორინგისას მიღებული ინფორმაციით, გადაუდებელი სამედიცინო საჭიროების შემთხვევაში, თავშესაფარში დასაქმებული მედდები, სასწრაფო სამედიცინო დახმარებას იძახებენ. მაგრამ, ზოგჯერ, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ადგილზე მისვლამდე შესაძლებელია საჭირო გახდეს პირველადი დახმარების გაწევა. ამიტომ,

<sup>14</sup> აქვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თავშესაფარში გამოკითხული ერთ-ერთი თანამშრომლის თქმით, კარგი იქნებოდა ხელშეკრულების დადება და მემორანდუმის გაფორმება ერთ სამედიცინო დაწესებულებასთან, რათა მომსახურებების თაობაზე ყოველ ჯერზე ხელახალი ახსნა-განმარტება არ იყოს საჭირო.

<sup>15</sup> სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი SCA 7 24 00089791, 25.01.2024.

<sup>16</sup> სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლს/დაზარალებულს სამედიცინო შემოწმება სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე, თავშესაფარში რეგისტრაციიდან 2 კალენდარული დღის განმავლობაში უტარდება (ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა - მომდევნო სამუშაო დღეს).

<sup>17</sup> ასევე აღსანიშნავია, რომ გამოკვლევები უტარდებათ ისეთ ბენეფიციარებსაც, რომლებმაც თავშესაფარში განთავსებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ განაცხადეს განცდილი სექსუალური ძალადობის შესახებ.

<sup>18</sup> თავშესაფრის დირექტორის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ცალსახად მისასაღებელია, თუმცა ერთ-ერთი ბენეფიციარის თქმით, რომელიც სავარაუდოდ სექსუალური ძალადობის მსხვერპლია, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე გამოკვლევები არ ჩატარებია. ეს იმაზე მიუთითებს, რომ პრაქტიკაში გამოკვლევების შესაძლებლობას ყოველთვის არ იყენებენ.

<sup>19</sup> განსაკუთრებით აღსანიშნავია გორის თავშესაფარი, სადაც პირველ ჯერზე ჩატარებული მონიტორინგისას პირველადი მოხმარების მედიკამენტები არ მოიძებნა. განმეორებითი ვიზიტისას, გარკვეული მედიკამენტები თავშესაფარში იყო, თუმცა ერთ-ერთმა ბენეფიციარმა აღნიშნა, რომ ძლიერი/ეფექტიანი ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტი თავშესაფარში არ აქვთ.

მნიშვნელოვანია მედდების და თავშესაფრის სხვა პერსონალის სისტემატურად გადამზადება. თუმცა მონიტორინგის ფარგლებში მიღებული ინფორმაციით, მედდებს პირველადი დახმარების ტრენინგები არ უტარდებათ.<sup>20</sup>

პრობლემურია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბენეფიციართა შემთხვევების მართვა. თავშესაფრის ადმინისტრაციის წარმომადგენლების განმარტებით, თავშესაფარში განთავსებამდე არ მიეწოდებათ სრულყოფილი ინფორმაცია ბენეფიციარების ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ.<sup>21</sup> თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ თავშესაფარს მიეწოდებოდეს ინფორმაცია პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე, რათა, ერთი მხრივ, შეძლონ თავად ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბენეფიციარის ჯანმრთელობის საჭიროებების დაკმაყოფილება, მეორე მხრივ კი, სათანადოდ მართონ თითოეული შემთხვევა და საფრთხე არ შეექმნას თავშესაფარში მყოფ ბენეფიციარებსა და პერსონალს.

### იურიდიული დახმარება, რეაბილიტაცია და დასაქმება

თავშესაფრით მოსარგებლე პირები ასევე იღებენ იურიდიულ და ფსიქოლოგიურ სერვისებს. თავშესაფრის იურისტი სერვისით მოსარგებლე პირებს უწევს სამართლებრივ კონსულტაციებს, აწვდის ინფორმაციას შემაკავებელი, დამცავი ორდერის მექანიზმების შესახებ, აცნობს დაზარალებულის უფლებებს. იურისტი, ასევე უწევს კონსულტაციას სამოქალაქო სამართლებრივი საკითხების შესახებ, როგორცაა განქორწინება, ალიმენტის დანიშვნა, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, ქონებრივი დავები. მოწოდებული ინფორმაციით, 2023 წლის განმავლობაში, სამართლებრივი კონსულტაციით ისარგებლა 202-მა ბენეფიციარმა, სამართლებრივი მომსახურება კი გაეწია 38 ბენეფიციარს.<sup>22</sup>

ბენეფიციართა ნაწილი, რომლებიც ფსიქოლოგის სერვისს იღებენ, კმაყოფილები არიან თავშესაფრის ფსიქოლოგის მომსახურებით. მათი თქმით, ფსიქოლოგის სერვისს სტანდარტულად კვირაში ერთხელ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, რამდენჯერმე იღებენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიღნაღის თავშესაფრის ფსიქოლოგის ინფორმაციით, მას არ აქვს ცალკე სამუშაო სივრცე, რაც ბენეფიციარების კონფიდენციალობის დარღვევის რისკებს ქმნის. ბენეფიციარებისთვის ფსიქოლოგის სერვისის სათანადოდ მისაწოდებლად, მნიშვნელოვანია მოეწყოს ცალკე სივრცე, სადაც უზრუნველყოფილი იქნება ფსიქოლოგიური მომსახურებისთვის შესაბამისი გარემო, მათ შორის არასრულწლოვნებისთვის, და

<sup>20</sup> ერთ-ერთი მედდის თქმით, მას აქვს სამედიცინო სფეროში მუშაობის გამოცდილება და შეუძლია პირველადი დახმარების გაწევა, თუმცა ყველა მედდას არ აქვს მსგავსი გამოცდილება.

<sup>21</sup> ზოგჯერ თავშესაფრის სერვისით მოსარგებლე პირი, ამბულატორიულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში აღრიცხვაზე იმყოფება, თავშესაფრისთვის კი ამის შესახებ მაშინ ხდება ცნობილი, როდესაც პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა მწვავედება.

<sup>22</sup> სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი - SCA 7 24 00089791, 25.01.2024.

ამასთანავე, შესაძლებელი იქნება კონფიდენციალური გასაუბრება ისე, რომ მუშაობაში ხელი არ შეემალოთ თავშესაფრის სხვა თანამშრომლებს.<sup>23</sup>

პრობლემად დასახელდა თავშესაფრებში საგანმანათლებლო/გასართობი/სარეაბილიტაციო ღონისძიებების არარსებობა. თავშესაფრის პერსონალი აღნიშნავს, რომ ისინი საკუთარი ძალებით იძიებენ მსგავსი ტიპის ღონისძიებებს.<sup>24</sup> მიუხედავად იმისა, რომ თავშესაფრის თანამშრომლები სხვადასხვა სარეაბილიტაციო თუ გასართობ ღონისძიებას ასახელებენ, გამოკითხული ბენეფიციარები თავშესაფრის მიერ დაგეგმილ რაიმე ღონისძიებაში მონაწილეობის ფაქტს ვერ იხსენებენ.<sup>25</sup>

ბენეფიციართა სათანადო რეაბილიტაციას და შემთხვევაზე კომპლექსურ მუშაობას, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ასევე უშლის ხელს თავშესაფრის მულტიდისციპლინური გუნდიდან ისეთი საკვანძო და მნიშვნელოვანი სპეციალისტის გამოთიშვა, როგორცაა იურისტი და სოციალური მუშაკი. მონიტორინგისას ბათუმის თავშესაფარში ვაკანტური იყო იურისტის პოზიცია,<sup>26</sup> თბილისის თავშესაფარში არ იყო სოციალური მუშაკი, ხოლო სიღნაღის თავშესაფარში, ასევე არ იყო სოციალური მუშაკი და მისი ფუნქციები იურისტს და ფსიქოლოგს ჰქონდათ შეთავსებული.<sup>27</sup> მნიშვნელოვანია, თავშესაფარში დროულად ივსებოდეს ვაკანტური ადგილები, რათა ხელი არ შეემალოს ბენეფიციართა სათანადო რეაბილიტაციას და მხარდაჭერას.

თავშესაფრებში კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ბავშვთა გასართობი სივრცეების განახლება და ბავშვისთვის საჭირო და უსაფრთხო სათამაშოების შექმნა. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ კვლავ მწირია ბავშვების გასართობი სათამაშოები და არ მოიპოვება მოზარდებისთვის საინტერესო გასართობი საშუალებები.

---

<sup>23</sup> სიღნაღის თავშესაფარში ფსიქოლოგი და იურისტი ერთ სივრცეში მუშაობენ. შესაბამისად, ამ სიტუაციაში ბენეფიციარის კონფიდენციალობის დაცვა ავტომატურად გულისხმობს, რომ იურისტმა საკუთარი სამუშაო სივრცე უნდა დატოვოს და სხვა სივრცეში განაგრძოს მუშაობა.

<sup>24</sup> შესაბამისად, თავშესაფარში საგანმანათლებლო/სარეაბილიტაციო/გასართობი ღონისძიებების გამართვა დამოკიდებულია მხოლოდ თავშესაფრის დირექტორისა და სხვა თანამშრომლების კონტაქტებსა და შესაძლებლობებზე.

<sup>25</sup> სააგენტოს მიერ ოფიციალურად მოწოდებული ინფორმაციითაც დასტურდება ჩატარებული სარეკრეაციო და გასართობი ღონისძიებების სიმწირე - უმეტეს შემთხვევაში ეს არის პარკში გასეირნება ან მუნიციპალიტეტებში მერიის მიერ მოწყობილ სადღესასწაულო-გასართობ ღონისძიებებზე დასწრება. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი - SCA 7 24 00089791, 25.01.2024.

<sup>26</sup> მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის თავშესაფრის დირექტორის განცხადებით, ბენეფიციარები იურიდიულ კონსულტაციებს იურიდიული დახმარების ბიუროში იღებენ, იურიდიული დახმარების ბიუროს წარმომადგენელი არ ერთვება თავშესაფრის მულტიდისციპლინურ გუნდში და არ იღებს მონაწილეობას ბენეფიციარის საჭიროებების შეფასებისა თუ საჭიროებების გადასინჯვის პროცესში.

<sup>27</sup> ოფიციალურად მოწოდებული ინფორმაციით, ბათუმის თავშესაფარში, 2022 წლის 24 ოქტომბრიდან თავისუფალია 1 იურისტის პოზიცია და მიმდინარეობს თანამშრომლის დანიშვნა. სიღნაღის თავშესაფარში 2022 წლის 1 ოქტომბრიდან თავისუფალია 1 სოციალური მუშაკის პოზიცია. SCA 7 24 00089791, 25.01.2024.

განსაკუთრებით პრობლემურია ბათუმის თავშესაფარში ბიბლიოთეკისა და ბავშვთა გასართობი სივრცეების არარსებობა, როგორც თავშესაფრის შენობაში, ისე მის ეზოში. ქუთაისის თავშესაფრის ეზოში არ არის განთავსებული ბავშვთა გასართობი საშუალებები (სასრიאלო ან/და საქანელა).

ინტერნეტი ბენეფიციარებისთვის ყველა თავშესაფარში მისაწვდომია, თუმცა, ბენეფიციარების ინფორმაციით, გორის თავშესაფარში ინტერნეტი ხარვეზით მიეწოდებათ.<sup>28</sup>

თავშესაფრის თანამშრომლები ბენეფიციარების დასაქმების მნიშვნელოვან წყაროდ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან თანამშრომლობასა და პირად კონტაქტებს ასახელებენ. სააგენტოს ინფორმაციით, 2023 წელს დასაქმდა თბილისის თავშესაფრის 11 ბენეფიციარი (დასაქმების პროგრამით არცერთი ბენეფიციარი არ დასაქმებულა), რაც შეეხება სხვა თავშესაფრების სტატისტიკას, დასაქმების და გადამზადების მაჩვენებელი ან ძალიან დაბალია, ან ნულის ტოლია.<sup>29</sup> როგორც მონიტორინგისას მიღებული ინფორმაცია, ისე სტატისტიკა, მოწმობს, რომ თავშესაფრებმა უნდა გააძლიერონ ძალისხმევა ბენეფიციართა გადამზადებისა და დასაქმების შესაძლებლობების გასაზრდელად.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთმა ბენეფიციარმა პრობლემად დაასახელა მისთვის დასაქმებისთვის საჭირო ინვენტარის შექმნა. ამიტომ, მნიშვნელოვანია, თავშესაფრებმა მეტი ძალისხმევა გასწიონ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თუ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობისთვის, რათა ბენეფიციარებს, რომელთაც ესა თუ ის ხელსაქმე გამოსდით ან კონკრეტული მიმართულებით პროფესიული გადამზადება აქვთ გავლილი, ხელი შეეწყოს დასაქმებაში ან საკუთარი საქმის წამოწყებაში.

### ადეკვატური, უსაფრთხო და დაცული საცხოვრებელი პირობები და ჰიგიენა

თავშესაფრის მონიტორინგი აჩვენებს, რომ სახელმწიფო თავშესაფრებში საცხოვრებელი გარემოს კუთხით სიტუაცია მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა.

ყველა სახელმწიფო თავშესაფარს ჰყავს დაცვის თანამშრომელი, რომელიც თავშესაფრის ბენეფიციარებისა და თანამშრომლების უსაფრთხოებაზე ზრუნავს. თუმცა, თავშესაფრებში არ არის დამონტაჟებული ვიდეო მონიტორინგი (სიღნაღის გარდა) და არ არსებობს

<sup>28</sup> ბენეფიციარების ინფორმაციით, ინტერნეტი მხოლოდ პირველ სართულზე იჭერს. კიდევ ერთი ბენეფიციარის ინფორმაციით, ამის გამო იგი მობილურის ინტერნეტით სარგებლობს.

<sup>29</sup> გორის თავშესაფარში 10 ბენეფიციარს შესთავაზეს დასაქმება, თუმცა სურვილი არავის გამოუთქვამს. პროფესიული გადამზადების პროგრამით არ უსარგებლია არცერთ მათგანს. ქუთაისის თავშესაფარში 2 ბენეფიციარი დარეგისტრირდა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ქუთაისის ოფისში. პროფესიული გადამზადების პროგრამით არ უსარგებლიათ ბენეფიციარებს. სიღნაღის თავშესაფრის 5 ბენეფიციარი იყო ჩართული პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობ პროგრამაში, კერძო ბიზნესში დასაქმდა 2 ბენეფიციარი. ბათუმის თავშესაფარს აქვს თანამშრომლობის გამოცდილება „დასაქმების ცენტრთან“ დასაქმების კუთხით, თუმცა დასაქმებულთა სტატისტიკა არ მოუწოდებიათ.

პოლიციასთან დამაკავშირებელი სიგნალიზაცია, რაც უსაფრთხოების ზომების სწრაფად გატარების გარანტიაა.

მონიტორინგს არ გამოუვლენია თავშესაფრის კონფიდენციალობის დარღვევის ან მოძალადის მხრიდან ბენეფიციარების უსაფრთხოების რისკის ქვეშ დაყენების შემთხვევები. თუმცა, ბათუმისა და ქუთაისის თავშესაფრების ადგილმდებარეობა, წინა წლების მსგავსად, კვლავ პრობლემურია, თავშესაფრის მისამართი არ შეცვლილა, და კვლავ ხალხმრავალ ადგილას მდებარეობს, რაც საფრთხეს უქმნის თავშესაფრის კონფიდენციალობასა და ბენეფიციარების უსაფრთხოებას. ამასთანავე, განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ სახალხო დამცველის არაერთი მიმართვის და გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, ბათუმის თავშესაფრის ეზო სხვა საერთო სივრცისგან ღობით კვლავ არ არის გამოყოფილი, რაც განსაკუთრებით პრობლემურია თავშესაფრის ტერიტორიის უცხო პირებისგან დაცვისა და არასრულწლოვანი პირების მიერ ეზოთი სარგებლობის თვალსაზრისით. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ინფორმაციით,<sup>30</sup> კომპეტენციის ფარგლებში, 2024 წელს აქვს დაგეგმილი გამმიჯნავი ღობის მშენებლობის ღონისძიებები, რომელთა განხორციელებასაც სახალხო დამცველის აპარატი თვალს მიადევნებს. მისასალმებელია, რომ დაწყებულია სამუშაოები თბილისის თავშესაფრის ეზოს კეთილმოსაწყობად და ღობის ასაშენებლად.

თავშესაფრებში უმეტესწილად დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. გამონაკლისია ქუთაისის თავშესაფრის სველი წერტილების უსუფთაობა და ჰიგიენის დაუცველობა.<sup>31</sup> მონიტორინგმა ასევე გამოავლინა, რომ ყველა თავშესაფარში შესაცვლელია სანტექნიკა.<sup>32</sup> მიუხედავად იმისა, რომ სიღნაღის, თბილისისა და გორის თავშესაფრები ბოლო წლებში

---

<sup>30</sup> სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი - SCA 7 24 00089791, 25.01.2024.

<sup>31</sup> ქუთაისის თავშესაფრის საერთო სააბაზანოებში ჭუჭყიანი იყო საშხაპის კედლები. ქუთაისის თავშესაფრის თანამშრომლის ინფორმაციით, სველ წერტილებს ბენეფიციარებთან ერთად ალაგებს თავშესაფრის დამლაგებელიც.

<sup>32</sup> გორის თავშესაფარში არ ირეცხება ერთი ტუალეტი, ონკანებში არ მოდის ცხელი წყალი და 3 საშხაპიდან მუშაობს მხოლოდ ერთი. დამატებით გორში განმეორებითი ვიზიტისას, აღმოჩნდა, რომ გორის თავშესაფარში 1 თვის განმავლობაში გაფუჭებული იყო გათბობის სისტემა, შესაბამისად, არ იყო ცხელი წყალი, რის გამოც ბენეფიციარებისთვის რთული საცხოვრებელი პირობები შეიქმნა, საბოლოოდ ხარვეზი გამოსწორდა. სიღნაღისა და ქუთაისის თავშესაფარში გაფუჭებულია ონკანი, საიდანაც წყალი ჟონავს. ქუთაისის თავშესაფარში ასევე გაფუჭებულია უნიტაზი და დარღვეულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. ბათუმის თავშესაფარში გატეხილია უნიტაზის ჩასარეცხი სისტემა, ხოლო ონკანიდან ჟონავს წყალი. ტექნიკურად მოსაწესრიგებელია მეორე სართულზე მდებარე აბაზანის ერთი განყოფილება, რომელიც არ ფუნქციონირებს. ასევე, ერთ საპირფარეოში გაფუჭებულია უნიტაზის ჩასარეცხი. ასევე, შშმ პირისთვის განკუთვნილ საპირფარეოში გაფუჭებულია ონკანი და გამოსაცვლელია შხაპი.



განახლდა და გარემონტდა, მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა კოსმეტიკური რემონტის საჭიროება.<sup>33</sup>

**ბათუმისა და ქუთაისის თავშესაფრები** საჭიროებს სრულ რემონტსა და ავეჯის გამოცვლას, რადგანაც ორივე თავშესაფარში, საერთო სივრცეებსა და საძინებლებში განთავსებული ავეჯი დაზიანებული და ძველია. გარდა ამისა, ბათუმისა და ქუთაისის თავშესაფრებში აღმოჩენილი ზოგიერთი დაზიანება საფრთხის შემცველია თავშესაფრების არასრულწლოვანი ბენეფიციარებისთვის.<sup>34</sup> ასევე, თბილისისა და სიღნაღის თავშესაფრებში, კონკრეტულ სივრცეებში, შესაცვლელია ავეჯი.<sup>35</sup>

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ თავშესაფრებში საერთო სივრცეში ან ბიბლიოთეკაში არ არის კომპიუტერი, რომლითაც თავშესაფრის ბენეფიციარები შეძლებდნენ სარგებლობას.<sup>36</sup> შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციარებს თავშესაფრის თანამშრომლების კომპიუტერების გამოყენება უწევთ. რაც, ერთი მხრივ, აბრკოლებს ბენეფიციარების მიერ კომპიუტერით სარგებლობის შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, საფრთხეს უქმნის თავშესაფრის თანამშრომლების კომპიუტერში შენახული ინფორმაციის დაცულობას.<sup>37</sup> ბათუმის თავშესაფარს არ აქვს ცალკე სივრცე ბიბლიოთეკისთვის და საჭირო წიგნები როგორც ზრდასრულებისთვის, ისე მოზარდებისა და ბავშვებისთვის.<sup>38</sup> ასევე, მიუხედავად იმისა, რომ სიღნაღის თავშესაფარში გარემონტდა საერთო ოთახი, ცალკე სივრცე არ არსებობს ბიბლიოთეკისთვის.

ყველა თავშესაფარში იყო ჰიგიენის საშუალებების საკმარისი მარაგი.<sup>39</sup> თუმცა, სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, თავშესაფრებში კვლავ არ აქვთ მნიშვნელოვანი პირველადი საჭიროების ნივთები.<sup>40</sup> გასათვალისწინებელია, რომ არ არის შედგენილი საბაზო

---

<sup>33</sup> თბილისის თავშესაფარში, 1-ელ სართულზე, დერეფანში კედლები იყო ნესტიანი და ჩამოქრცილი. გორის თავშესაფრის დერეფანში ჩამოვარდნილია პლინტუსი და კიბეებზე ამძვრალია დამცავი ლენტები. სიღნაღის თავშესაფარში ოთახები სარემონტოა და კედლები შესაღები.

<sup>34</sup> ბათუმის თავშესაფრის ერთ-ერთ საძინებელში გაფუჭებულია დენცქვიტა. ხოლო ქუთაისის თავშესაფრის საერთო ოთახში გაფუჭებულია ცენტრალური გათბობის რადიატორი.

<sup>35</sup> შშმ პირთათვის განკუთვნილ საძინებელ ოთახში გაფუჭებული იყო კარადის უჯრები.

<sup>36</sup> გარდა ამისა, თბილისის თავშესაფრის ბიბლიოთეკა დაკეტილია და თავშესაფრის თანამშრომლები საჭიროების დროს ხსნიან.

<sup>37</sup> აღსანიშნავია, რომ მონიტორინგისას არ გამოვლენილა პერსონალური მონაცემების დარღვევის ფაქტი.

<sup>38</sup> თავშესაფრის პერსონალის ინფორმაციით, ბენეფიციარებისთვის საინტერესო წიგნები თავიანთი რესურსით, სახლებიდან მოაქვთ.

<sup>39</sup> აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ბენეფიციარმა მიუთითა პირადი ჰიგიენური საშუალების არასაკმარისობაზე და დაბალ ხარისხზე.

<sup>40</sup> თავშესაფრების ინფორმაციით, საცვლების საჭიროების შესახებ ინფორმირებულია სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო. თუმცა, მოთხოვნის მიუხედავად, ისინი არ გადასცემიათ. ამის საპირისპიროდ, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2023 წლის 29 სექტემბრის წერილით (SCA 4 23 01030837) მოგვეწოდა მ/წ თებერვალ-მარტში, დაწესებულებების მოთხოვნათა შესაბამისად, მიწოდებული პირადი ჰიგიენის პროდუქტების ჩამონათვალი, საიდანაც ირკვევა, რომ ჩამონათვალში საცვლები არ არის.



ჰიგიენური და პირადი საჭიროების ნივთების ჩამონათვალი,<sup>41</sup> რომელიც ყველა თავშესაფარს სავალდებულოდ, მოთხოვნათა შესაბამისად, მიეწოდება. კვლავ პრობლემურია სეზონის შესაბამისი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მომარაგება,<sup>42</sup> ვინაიდან, თავშესაფრები ძირითადად შემოწირულობებსა და თავად თავშესაფრის პერსონალის მიერ მოტანილ ტანსაცმელზე არიან დამოკიდებული.<sup>43</sup>

აღსანიშნავია, რომ თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში განთავსებულია საჩივრების ყუთი და უკუკავშირის ყურნალი. თუმცა გორის თავშესაფარში საჩივრების ყუთი ყველასთვის მისაწვდომ ადგილას არ არის განთავსებული,<sup>44</sup> რაც აბრკოლებს ბენეფიციარების შესაძლებლობას, ისარგებლონ საჩივრების ყუთით.

### კვება

ყველა სახელმწიფო თავშესაფარში ჰქონდათ საკვები პროდუქტების მრავალფეროვანი მარაგი.<sup>45</sup> მონიტორინგის დროს, მათში იყო სეზონური ხილისა და ბოსტნეულის არჩევანი.

მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ თავშესაფარში აქვთ სტანდარტული მენიუ, რომლითაც ყველა თავშესაფარი ერთნაირად სარგებლობს. თუმცა თავშესაფრებში საკვების ჩანაცვლების ან/და ამოღების განსხვავებული პრაქტიკაა. მაგალითად, გორის თავშესაფრის დირექტორის ინფორმაციით, მას მენიუს შეცვლის უფლებამოსილება არ აქვს და, შესაბამისად, ბენეფიციარებმა ის უნდა მიირთვან, რაც იმ დღეს მენიუში აქვთ. თუმცა, სიღნაღის თავშესაფრის თანამშრომლის ინფორმაციით, იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი მენიუთი გათვალისწინებულ საკვებს არ ჭამს, შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე შეცვლა შესაძლებელია. ასევე, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, უმეტესად, თუ ბენეფიციარი ამა თუ იმ კონკრეტულ მთავარ კერძს არ/ვერ მიირთმევს, ალტერნატიულ კერძად მხოლოდ ნაკლებად კალორიული საკვები რჩება (მაგალითად, სალათი). ასევე, დღის განმავლობაში განსაზღვრული საკვები კონცენტრირებულია შუადღისას, სადილზე. საუზმისა და ვახშმისას კი, საჭმლის მწირი არჩევანია.

თავშესაფრების ზოგიერთი ბენეფიციარი კვებას პრობლემად ასახელებს. გორისა და ბათუმის თავშესაფრის ბენეფიციარების ნაწილის თქმით, მართალია, დღეში 4-ჯერ იკვებებიან, თუმცა ეს კვება არასაკმარისი და არამრავალფეროვანია.<sup>46</sup> ბენეფიციარების

<sup>41</sup> საბაზო ჰიგიენური და პირადი საჭიროების ნივთების ჩამონათვალში გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი ნივთები, როგორცაა, სავარცხელი, დეოდორანტი, საცვლები, წინდები, ჩუსტები, ბიუსჰალტერი, საღამური და სხვ.

<sup>42</sup> გორის თავშესაფრის ბენეფიციარის ინფორმაციით, თავშესაფარში გადმოსვლისას მხოლოდ ის ტანსაცმელი ჰქონდა, რითაც თავშესაფარში გადაიყვანეს და 6 დღის განმავლობაში ამავე ტანსაცმლით ეძინა. მისივე თქმით, თავშესაფრის თანამშრომლებს მისთვის სხვა ტანსაცმელი არ შეუთავაზებიათ.

<sup>43</sup> შესაბამისად, ხშირად თავშესაფარში ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მარაგების არსებობა დამოკიდებულია თავშესაფრის დირექტორების კონტაქტებსა და შესაძლებლობებზე.

<sup>44</sup> საჩივრების ყუთი განთავსებულია შემალეულ ადგილას.

<sup>45</sup> რძის პროდუქტები, საქონლისა და ქათმის ხორცი, თევზი, ბურღულეული და სხვ.

<sup>46</sup> გორის თავშესაფარში დამატებით აღინიშნა, რომ დაბალი ხარისხის არის პური, ზოგიერთი ხილი და ყავა.

თქმით, მშვივრებიც არიან იმის გამო, რომ ხშირად ისეთი საკვებია (მაგალითად, კომბოსტოს სალათი და საუზმეზე კარაქი და ფაფა), რომელსაც არავინ ჭამს. გარდა ამისა, ბენეფიციარის ინფორმაციით, დღის მენიუებში არ არის გათვალისწინებული საკვები ვეგეტარიანელებისთვის. ასევე, არ არსებობს სპეციფიკურად დიეტური/დიაბეტური კვებისათვის განკუთვნილი ცალკე მენიუ.

თავშესაფრის პერსონალის ინფორმაციით, ერთ-ერთ ბენეფიციარს კვებითი აშლილობა<sup>47</sup> ჰქონდა. თუმცა, მათივე თქმით, მასთან რაიმე სახის სპეციფიკური მიდგომა არ გამოუყენებიათ.

### ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრების შეფასება

2023 წელს ძალადობის მსხვერპლთათვის განკუთვნილი სერვისების გეოგრაფიული არეალი გაფართოვდა და ზუგდიდსა და თელავში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების ახალი კრიზისული ცენტრები გაიხსნა, რაც უდავოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯია. თუმცა მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ აღნიშნული კრიზისული ცენტრები მხოლოდ ნომინალურად გაიხსნა და არცერთი ახალი გახსნილი კრიზისული ცენტრი არ იყო მზად სრულყოფილი სერვისის მისაწოდებლად. მეტიც, მონიტორინგისას გაირკვა, რომ ზუგდიდში მდებარე კრიზისული ცენტრი, 2023 წლის სექტემბრის მდგომარეობით, საერთოდ არ ფუნქციონირებდა.<sup>48</sup> პრობლემურია, რომ ახლად გახსნილი თელავის კრიზისული ცენტრი სარემონტო იყო, ამასთანავე, არც თელავის და არც ზუგდიდის კრიზისული ცენტრი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.<sup>49</sup>

მისასაღმებელია, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, თბილისის ძალადობის მსხვერპლთა კრიზისულ ცენტრს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, ამასთანავე, ამ კრიზისულ ცენტრში არაერთი საორგანიზაციო ცვლილება განხორციელდა, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს სერვისის მიწოდების ხარისხს.<sup>50</sup>


<sup>47</sup> სპეციალისტს არ დაუსვამს დიაგნოზი.

<sup>48</sup> თელავის კრიზისულ ცენტრში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 19 სექტემბერს, ხოლო ზუგდიდში 22 სექტემბერს. როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ზუგდიდის კრიზისული ცენტრი საერთოდ არ ფუნქციონირებდა, ხოლო თელავის კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელი 2023 წლის აპრილში დაინიშნა. ვიზიტის დროს, კრიზისული ცენტრის დირექტორმა აღნიშნა, რომ შერჩეული ჰყავთ ფსიქოლოგის და იურისტის პოზიციაზე თანამშრომლები და კრიზისული ცენტრი სრულყოფილი სერვისის მიწოდებას სათანადოდ დაკომპლექტების შემდგომ შეძლებს.

<sup>49</sup> ზუგდიდის კრიზისული ცენტრის ფიზიკური გარემოს შეფასების შესაძლებლობა არ მოგვეცა, ვინაიდან დახურული იყო, თუმცა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენლების ინფორმაციით, კრიზისული ცენტრი შენობის მეორე სართულზე მდებარეობს და არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის.

<sup>50</sup> კრიზისულ ცენტრში ემატება 1 იურისტის და 1 სოციალური მუშაკის შტატი. ამასთანავე, ცენტრში ფუნქციონირებს ბავშვთა ინტეგრირებული ცენტრი (ბარნაჰუსი). მონიტორინგისას დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ თანამშრომლები საჭიროებისას ითავსებენ ერთმანეთის ფუნქციებს და ბენეფიციარებს სერვისი შეუფერხებლად მიეწოდებათ. ამასთანავე, განხორციელდა ცხელი ხაზის პროგრამული უზრუნველყოფა და იგეგმება ცხელი ხაზის ადაპტირება შშმ პირებისთვის.

კრიზისული ცენტრების თანამშრომლებმა, გასაუბრებისას გაიხსენეს ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებული არაერთი ღონისძიება,<sup>51</sup> თუმცა საინფორმაციო შეხვედრების/კამპანიების მიუხედავად, სტატისტიკა აჩვენებს, რომ რეგიონში მდებარე კრიზისულ ცენტრებში მიმართვიანობა კვლავ დაბალია.



მნიშვნელოვანია საინფორმაციო კამპანიების კომპონენტის კიდევ უფრო გაძლიერება და რეგიონში მდებარე კრიზისული ცენტრების საჭირო რესურსებით აღჭურვა. მიმართვიანობის ზრდა უშუალოდ არის დაკავშირებული თავად კრიზისული ცენტრის წარმომადგენლების აქტიურობასთან და თანამშრომლობასთან იმ შესაბამის უწყებებთან, რომლებსაც ძალადობის მსხვერპლებთან აქვთ შეხება.

მისასაღმებელია, რომ კრიზისული ცენტრები ბენეფიციარებს მომსახურებებს ონლაინ რეჟიმშიც აწვდიან, თუმცა ერთ-ერთი კრიზისული ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ონლაინ რეჟიმში რეგიონში მომსახურების მიწოდება რთულია. მოწოდებული ინფორმაციით, არის შემთხვევები, როდესაც ძალადობის მსხვერპლი კრიზისული ცენტრის მომსახურებაზე უარს გრანსპორტირების ფინანსების უქონლობის გამო აცხადებს. ოზურგეთის კრიზისული ცენტრის წარმომადგენლის მოსაზრებით, კარგი იქნება, მუნიციპალიტეტებში გამოიყოს სპეციალური სივრცე, რათა იმ ბენეფიციარებს, რომლებსაც სოფლიდან ჩამოსვლა უჭირთ, კონსულტაციები მათთვის ტერიტორიულად მისაწვდომ სივრცეში გაუწიონ.

### ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისი

თბილისის და ბათუმის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებები ტრეფიკინგის მსხვერპლებს უზრუნველყოფენ სადღეღამისო საცხოვრისით (თავშესაფარში); ფსიქოსოციალური რეაბილიტაციით; სამედიცინო მომსახურების ორგანიზებით/მიღებით; სამართლებრივი დახმარებით; საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურებით.

სსიპ-სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ინფორმაციით, თავშესაფრით და კრიზისული ცენტრით 2023 წელს 11-მა

<sup>51</sup> ცენტრის ხელმძღვანელები მონაწილეობენ ტელეგადაცემებში. ასევე მართავენ შეხვედრებს სხვადასხვა ფოკუს ჯგუფთან, აქტიურად მონაწილეობენ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16 დღიან კამპანიაში. გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება ასევე მიმდინარეობს კრიზისული ცენტრის ბენეფიციარებთან.

ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლმა ისარგებლა. 2023 წელს ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 8 მსხვერპლზე გაიცა კომპენსაცია.<sup>52</sup>

მონიტორინგისას მიღებული ინფორმაციით, ტრეფიკინგის მსხვერპლებისთვის გაწეული დახმარება, ძირითადად, კომპენსაციით და ოჯახში დაბრუნებით შემოიფარგლება. როგორც აღინიშნა, თავშესაფრები თანამშრომლობენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტთან და საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრებში (თბილისში და ბათუმში) სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგისას ტრეფიკინგის მსხვერპლი განთავსებული არ ყოფილა. შესაბამისად, ანგარიშში მათი მოსაზრებები სერვისებში ჩართვის თუ სერვისით კმაყოფილების თაობაზე ვერ აისახა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები ტრეფიკინგის 3 მსხვერპლს შეხვდნენ ძალადობის მსხვერპლთა ქუთაისის თავშესაფარში, სადაც მათი განთავსების მიზეზი საგამოძიებო ინტერესი იყო. მიღებული ინფორმაციით, თავშესაფარი მუშაობდა კომპენსაციის მიღების საკითხზე და იგეგმებოდა მსხვერპლთა საკუთარ ქვეყანაში დაბრუნება. მონიტორინგისას მიღებული ინფორმაციით, ტრეფიკინგის მსხვერპლებიდან 2 თავშესაფრის დახმარებით დასაქმდა. ვინაიდან თავშესაფარში მყოფი ტრეფიკინგის მსხვერპლები არცერთ საერთაშორისო ენას არ ფლობდნენ, მათთან კომუნიკაცია ონლაინ თარგმანის (google translate) გამოყენებით განხორციელდა და მათ კმაყოფილება გამოხატეს მიღებულ სერვისთან დაკავშირებით. დამატებით, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები ტრეფიკინგის 1 მსხვერპლს შეხვდნენ ძალადობის მსხვერპლთა გორის თავშესაფარში, რომელიც ასევე კმაყოფილი იყო სერვისით.

რაც შეეხება, ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის ადეკვატური, უსაფრთხო და დაცული საცხოვრებელი პირობების, ჰიგიენის და კვების საკითხებს, ამაზე შეფასებები ზემოხსენებულ შესაბამის თავებშია წარმოდგენილი.

### თავშესაფარში/კრიზისულ ცენტრში დასაქმებული პირების მდგომარეობა და მათი საჭიროებები

თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების მონიტორინგისას ყურადღება გამახვილდა თავშესაფარში/კრიზისულ ცენტრში დასაქმებულ პირთა სამუშაო პირობებზე. გარდა ამისა, თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების, ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობებზე, ასევე, პროფესიული გადაწყვეტის პრევენციის მიზნით შესაბამის აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობაზე.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოკითხული თანამშრომლების<sup>53</sup> უმეტესობამ ყურადღება გაამახვილა ტრენინგების და გადამზადების შესაძლებლობის ნაკლებობაზე. ამ

<sup>52</sup> სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი - SCA 7 24 00089791, 25.01.2024.

<sup>53</sup> მონიტორინგის ჩატარებისას სპეციალურად შედგენილი კითხვარების საფუძველზე გამოიკითხნენ თავშესაფარში დასაქმებული პირები, კერძოდ: ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, მედდა, იურისტი და თავშესაფრის დირექტორი. გავსაუბრეთ შემდეგ პირებს: მედდას, ბუღალტერს, ძიძას.

მხრივ, გამონაკლისი იყვნენ ფსიქოლოგები, რომელთათვისაც წლის განმავლობაში ჩატარდა ტრენინგები.<sup>54</sup> მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალი პერიოდულად გამოიკითხოს ტრენინგების საჭიროებასთან დაკავშირებით და თემატურად, მათი პროფესიისა და უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით, მიმდინარეობდეს მათი გადამზადება.

იმის გათვალისწინებით, რომ არასამუშაო საათებსა და დასვენების დღეებში თავშესაფარში მხოლოდ მედდა რჩება, საჭიროა განსაკუთრებული აქცენტი მედდების გადამზადებაზე, მათი შესაძლებლობების გაძლიერება კრიზისულ სიტუაციებთან ეფექტიანად გასამკლავებლად. ასევე, ოჯახში ძალადობის სპეციფიკაზე, მის ფორმებსა და გამოვლინებაზე, მნიშვნელოვანია სწავლება ჩაუტარდეს თავშესაფარში ყველა დასაქმებულს.<sup>55</sup>

სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ ინფორმაცია მოგვაწოდა თავშესაფრების/კრიზისული ცენტრების თანამშრომელთათვის 2023 წელს ჩატარებული ტრენინგების შესახებ. მოწოდებული ინფორმაციიდან იკვეთება ტრენინგების თემატიკის და მათში მონაწილე თანამშრომელთა სიმწირე.<sup>56</sup>

მონიტორინგისას მიღებული ინფორმაციით, პროფესიული გადაწვის მიმართულებით თანამშრომლებს ფსიქოლოგი ეხმარება, თუმცა რეგიონში მდებარე თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში აღინიშნა, რომ ამას ოფიციალური სახე არ აქვს. ამასთან ერთად, თანამშრომლებმა გასვლითი ერთობლივი შეხვედრების/ტრენინგების საჭიროებაზეც ისაუბრეს. აღინიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები გამოცდილების გაზიარებას შეუწყობს ხელს.<sup>57</sup>

აღსანიშნავია, რომ თანამშრომლების დიდმა ნაწილმა გამოწვევად დაბალი ანაზღაურება დაასახელა. იმისთვის, რომ თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში შენარჩუნდეს კარგი

---

<sup>54</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგებისთვის მხოლოდ პროფესიული ტრენინგები ტარდება. ხოლო რაც შეეხება თემატურ ტრენინგებს (გენდერული თანასწორობა, ლგბტ+ პირთა უფლებები და ა. შ.), მსგავსი შინაარსის ტრენინგები არც ფსიქოლოგებს ჩატარებიათ.

<sup>55</sup> სპეციალისტებს, ბუღალტრებს, მძღოლებს, დაცვას, სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების პროგრამის ფარგლებში დასაქმებულებს.

<sup>56</sup> 2023 წლის 29 სექტემბრის წერილი 2023 SCA 4 23 01030837; ტრენინგების თემატიკა: სიმულაციური ტრენინგი ადამიანით ვაჭრობის თემაზე (1 იურისტი, 1 ფსიქოლოგი, 1 სხვა პერსონალი); კოგნიტიურ ბიჰევიორული თერაპიის პრაქტიკული უნარ-ჩვევები (12 ფსიქოლოგი); გენდერული ძალადობის წინააღმდეგ სისტემის გაუმჯობესება (2 იურისტი, 1 ფსიქოლოგი, 3 სოციალური მუშაკი, 5 სხვა პერსონალი); ადამიანით ვაჭრობის არასრულწლოვან მსხვერპლთა გამოვლენა და სერვისების მიწოდების სპეციფიკა (4 სოციალური მუშაკი, 8 სხვა პერსონალი); კონსულტირება და მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების ფსიქოსოციალური მხარდაჭერა (1 სოციალური მუშაკი); საერთაშორისო ექსპერტთა EMDR ტრენინგი (5 ფსიქოლოგი); ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე (2 იურისტი, 1 ფსიქოლოგი, 3 სოციალური მუშაკი, 6 სხვა.); სტრესის მართვა და კომუნიკაციის უნარები (2 თანამშრომელი). 2023 წელს ასევე დაგეგმილი იყო შემდეგი ტრენინგები: ბავშვთა დაცვის სისტემების და მომსახურებების გაძლიერება საქართველოში; ცხელი ხაზების ხელმისაწვდომობა შშმ ბავშვებისთვის.

<sup>57</sup> მაგალითად, ოზურგეთის კრიზისულ ცენტრში აღინიშნა, რომ კრიზისულ ცენტრებს არ აქვთ ერთიანი სტანდარტი, რომლითაც სტატისტიკას დაითვლიან და ერთობლივი შეხვედრა საკითხის გადაწყვეტას შეუწყობს ხელს.

კადრები, და ვაკანტური ადგილებით მეტად დაინტერესდნენ პროფესიონალები, საჭიროა პასუხისმგებლობის შესაბამისი ანაზღაურების განსაზღვრა.

## რეკომენდაციები

**სსიპ სახელმწიფო ზღუდვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:**

- აწარმოოს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია, მათ შორის, ქვეყანაში არსებული მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისების შესახებ, კამპანია ჩატარდეს მიზანმიმართულად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებზე აქცენტით;
- დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალი გამოიკითხოს ტრენინგების საჭიროებასთან დაკავშირებით და გადამზადდეს თემატურად;
- მედლები და თავშესაფრის სხვა პერსონალი სისტემატურად გადამზადდნენ გადაუდებელი დახმარების საკითხებზე;
- ყველა თავშესაფარი უზრუნველყოს პირველადი მოხმარების მედიკამენტებით;
- განახლდეს ჰიგიენისა და პირადი ნივთების საბაზო ჩამონათვალი, რომელიც სავალდებულო იქნება ყველა თავშესაფრისთვის;
- გორის თავშესაფარს მიეცეს მითითება, გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების წესდებით (შინაგანაწესით) გათვალისწინებული ვალდებულებებისა და აკრძალვების დარღვევის შემთხვევაში, ბენეფიციარის მიმართ დადგეს შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი;
- დაიგეგმოს და განხორციელდეს სარეაბილიტაციო, სარეკრეაციო და გასართობი პროგრამები/ ღონისძიებები;
- უზრუნველყოს თავშესაფრის ბიბლიოთეკებში კომპიუტერების განთავსება, რომლითაც თავშესაფრის ბენეფიციარები დაუბრკოლებლად ისარგებლებენ;
- ბათუმის თავშესაფარში უზრუნველყოს ბიბლიოთეკის მოწყობა და სხვადასხვა ასაკის შესაბამისი ლიტერატურის განთავსება;
- ჩატარდეს შესაბამისი სამუშაოები გორის თავშესაფარში ინტერნეტის ყველა წერტილზე მიწოდების გასაუმჯობესებლად;
- ყველა თავშესაფარში უზრუნველყოს მოზარდებისთვის გასართობ-შემეცნებითი თამაშები;
- ყველა თავშესაფარში მოწესრიგდეს ეზო იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს არასრულწლოვანი ბენეფიციარის გართობა-რეაბილიტაციისთვის საჭირო ინვენტარის განთავსება ან/და განახლება;
- გადაიხედოს თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში არსებული ინვენტარი და განახლდეს საჭიროებისამებრ;
- შეფასდეს ბათუმისა და ქუთაისის თავშესაფრებში არსებული სიტუაცია და შეფასების შედეგად ჩატარდეს რემონტი და განახლდეს ავეჯი;

- პერიოდულად შეფასდეს თავშესაფრებში ბავშვთა უსაფრთხოების საკითხი და დაზიანებისთანავე შეიცვალოს ოთახებში არსებული დენცქვიტები და გათბობის რადიატორები;
- დროულად განხორციელდეს თბილისისა და ბათუმის თავშესაფრების ტერიტორიაზე ღობის მშენებლობა;
- გორის თავშესაფარში საჩივრების ყუთი განთავსდეს იმგვარად, რომ მისაწვდომი იყოს ყველასთვის, მათ შორის შშმ პირებისთვის;
- გადაიხედოს კვების მენიუები და საჭიროების შესაბამისად შეიცვალოს. ცალკე მენიუები შედგეს დიეტური და დიაბეტური კვებისთვის;
- ერთნაირად დარეგულირდეს საკვების ჩანაცვლების საკითხი ყველა თავშესაფარში.